შეხვედრის აღწერა: კითხვა-პასუხის სესია
თარიღი/დრო: 14.04.2022
მონაწილეები: გოგიტა ღვედაშვილი - GCSD-ის დირექტორის მოადგილე, საგრანტო კონკურსით დაინტერესებული პირები

განხილული საკითხები: საგრანტო კონკურსთან დაკავშირებული კითხვები (კითხვა (Q) პასუხი (A)):

Q: თუ მთავარი აპლიკანტი იქნება ააიპ, შეიძლება თუ არა რომ თანააპლიკანტი იყოს შპს?

A: წამყვანი აპლიკანტი არ შეიძლება იყოს კომერციულად მომგებიანი ორგანიზაცია, თუმცა ის შეიძლება იყოს პარტნიორი.

Q: რა აქტივობებს ანიჭებს უპირატესობას ორგანიზაცია წელს? რა აქვს განსაზღვრული პრიორიტეტებში?

A: პრიორიტეტებთან დაკავშირებით სრული ინფორმაცია მოცემულია განაცხადში.

Q: რამდენად მაღალია GCSD-ს ინტერესი კონფლიქტებთან დაკავშირებით? რამდენად აქტუალურია ამ პროექტისთვის დევნილი, მარგინალიზებული მოსახლეობა (განსაკუთრებით ახალგაზრდები)?

A: GCSD-ს ფოკუსია რადიკალიზაციასა და ექსტრემიზმთან გამკლავება. აქედან გამომდინარე, თუ თვლით, რომ თქვენს მიერ ნახსენებ ჯგუფებში აღნიშნული პრობლემატიკა აქტუალურია ცხადია შეგიძლიათ განაცხადი ამ ჯგუფებთან დაკავშირებით მოამზადოთ.

Q: რამდენიმე მიმართულების გაერთიანება და ამ კუთხით იდეების შემოთავაზება რელევანტურია?

A: საკითხები ურთიერთდაკავშირებულია და შესაძლებელია მათი კომბინირება. ამასთან დაკავშირებით არანაირი შეზღუდვა არაა და შესაძლებელია პროექტი რამდენიმე კომპონენტს ფარავდეს.

Q: აქვს თუ არა პროექტს აუდიტორიასთან დაკავშირებით რაიმე პრიორიტეტი? მაგალითად სკოლის მოსწავლეების, სტუდენტების ან რეგიონის მიხედვით?

A: პროექტს დამატებითი პრიორიტეტები აუდიტორიებთან და რეგიონებთან დაკავშირებით არ აქვს, გარდა იმისა რაც განაცხადშია აღწერილი.

Q: პროექტის ფარგლებში გვაქვს თუ არა შესაძლებლობა მინი კვლევა ჩავატაროთ, რომ უკეთ დავინახოთ გამოწვევები კონკრეტულ რეგიონში?

A: დიახ, კვლევის ჩატარება შესაძლებელია.

Q: როგორია კომისიის შემადგენლობა?

A: კომისიაში შედის: თემატური დამოუკიდებელი ექსპერტი, ნორვეგიის საელჩოს წარმომადგენელი, GCSD-ს წარმომადგენელი. ექსპერტი ყოველი ახალი კონკურის დროს იცვლება.

Q: პროექტის დიფერენცირება სამეცნიორო ლიტერატურასთან არის თუ მხოლოდ იდეის დონეზე?

A: თუ საჭიროდ თვლით რაიმე წყაროს მოყვანას, შეგიძლიათ მიუთითოთ, თუმცა ეს სავალდებულო არ არის. ამ ეტაპზე მთავარია თქვენი პროექტის რეზიუმეს შეფასება და შემდგომ სრული განაცხადის მომზადების ეტაპზე შეგეძლებათ უფრო ვრცლად გაშალოთ თქვენი მსჯელობა.

Q: რა დონეზე აინტერესებს ორგანიზაციას რადიკალიზაცია ამ პროექტის ფარგლებში? რა შეიძლება იყოს ორგანიზაციისთვის პრიორიტეტული?

A: ამ პრობლემატიკაზე მუშაობა ყველა დონეზე აქტუალურია დაწყებული ადგილობრივი გამოწვევებით დამთავრებული სახელმწიფო პოლიტიკის ადვოკატირებით.

Q: როდესაც გულისხმობთ რეგიონს, მხოლოდ კონკრეტულ ქვეყანას, საქართველოს გულისხმობთ თუ ასევე სომხეთს და აზერბაიჯანს?

A: ამ შემთხვევაში პროექტი ფოკუსირებულია მხოლოდ საქართველოზე და ამ ქვეყანაში არსებულ გამოწვევებზე, თუმცა თუ დაინახავთ, რომ ამ რესურსის ფარგლებში ეფექტიანი

იქნება რეგიონული პროექტი, ჩვენ აუცილებლად განვიხილავთ ამ იდეასაც.

Q: მხოლოდ შიდა ფაქტორები აინტერესებს ორგანიზაციას რადიკალიზაციის მექანიზმების შესაბრკოლებლად თუ გარე ფაქტორებიც?
A: მთავარი პრიორიტეტი საქართველოს შიგნით არსებული პროპლემების იდენტიფიცირება და ამ პრობლემების მოგვარებაზე მიმართული ღონისძიებებია.

Q: ეთნიკური უმცირესობების გაძლიერებაში რა იგულისხმება და თავად ორგანიზაციას თუ აქვს იდენტიფიცირებული ნეონაცისტური ორგანიზაციები (კონკრეტულად რეგიონებში)?
A: ღონისძებები, რაც ხელს შეუწყობს მათ ინტეგრაციას და რადიკალიზაცია-ექსტრემიზმთან გამკლავების საკითხებში მათი შესაძლებელობების ამაღლებას. კონკრეტული ორგანიზაციების სია არ გვაქვს, თუმცა ვგულისხმობთ ულტრამემარჯვენე, ნეონაცისტურ და სხვა რადიკალურ ჯგუფებს.

Q: შეიძლება თანხა მოხმარდეს დოკუმენტური ფილმის გადაღებას?
A: შესაძლებელია თუ ეს უშუალოდ ემსახურება რადიკალიზაცია-ექსტრემისმის გამკლავების მიზანს.

Q: ოკუპაციის თემატიკა რამდენად მისასალმებელია?
A: შესაძლებელია, თუმცა მკაფიოდ უნდა იყოს დაფიქსირებული ამ თემაზე მუშაობა როგორ უზრუნველყოფს რადიკალიზაცია-ექსტრემიზმთან დაკავშირებულ რისკებთან გამკლავებას.

Q: რადგან ეს პროგრამა პანკისში ხორციელდება, სხვა რეგიონში უფრო მეტი უპირატესობა მიენიჭებათ პროექტებს?
A: რადგან ორი პროექტი უკვე ხორციელდება პანკისში, თქვენი მხრიდან უფრო მეტად კრეატიული და მიმზიდველი იდეა უნდა მივიღოთ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მეტი პროექტს არ განვახორციელებთ პანკისში, თუმცა კიდევ უფრო მეტად ჩავუღრმავდებით დეტალებს.

Q: მივიღებთ თუ არა უკუკავშირს განაცხადის წარდგენის შემდეგ?
A: შეფასების კრიტერიუმები არის საჯარო და თქვენი მოთხოვნის საფუძველზე შეგვიძლია

გაგიზიაროთ თუ რომელ კოპონენტში როგორი შეფასება მიიღო თქვენმა პროექტმა.

Q: თუ გვაქვს კონკრეტული მაგალითები იმ შედეგებისა რაც მოჰყვა ამ პროგრამის ან მისი პროექტების განხორციელებას?
A: მაგალითისთვის გეტყვით, რომ ჩვენი პროგრამის ფარგლებში შეიქმნა დიალოგის პლატფორმა, რაც მოიაზრებს, რომ სამოქალაქო საზოგადოებას და სახელმწიფო ინსტიტუტებს შეუძლიათ შეიკრიბონ და განიხილონ რადიკალიზაცია ექსტრემიზმთან დაკავშირებული საკითხები. ამ პლატფორმის ფარგლებში უკვე ჩატარდა სამუშაო შეხვედრები, რომლებსაც 19 სხვადასხვა უწყებასთან ერთად, სამუშაო ფორმატში, ესწრებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები. დამატებით, ჩვენი ქვე-გრანტის ფარგლებში, სხვადასხვა ჯგუფებთან აქტიურად ვმუშაობთ, მათ შორის სკოლებთან და პედაგოგებთან.

Q: როცა საუბარია ახალგაზრდული ჯგუფების გაძლიერებაზე, რა იგულისხმება ამაში ახალგაზრდები რომლებშიც რადიკალიზაცია შეინიშნება თუ ზოგადად ახალგაზრდული ჯგუფები?
A: ზოგადად ახალგაზრდების გაძლიერება პრიორიტეტი ნაკლებად არის, უნდა ფოკუსირდეთ ახალგაზრდებზე, რომლებიც რადიკალიზაცია-ექსტრემისმის მიმართულებით უფრო მეტად არიან მოწყვლადები და შესაძლოა შედიოდნენ რისკ ჯგუფებში. ეს არამხოლოდ ახალგარდებს, არამედ ყველა ჯგუფს ეხება.

Q: შეიძლება თუ არა პროექტი აგებული იყოს მედია ან საინფორმაციო კამპანიაზე?
A: დიახ, შესაძლებელია. ჩვენს მიერ გაცემული ერთ-ერთი გრანტი ამ მიმართულებით უკვე მუშაობდა.

Q; ვინც ებრძვის რადიკალურ ან ექსტრემისტულ ჯგუფებს, მათ გაძლიერებაზე თუ იქნება პრიორიტეტი?
A: დიახ, ერთ-ერთი პრიორიტეტია ამ ჯგუდების მხარდაჭერა და გაძლიერება.

Q: საპროექტო იდეას, რომელიც რეგიონს მოიცავს თუ მიენიჭება უპირატესობა? მხოლოდ ერთ რეგიონს თუ რეგიონებში რამდენიმე მუნიციპალიტეტს?

A: ამ მხრივ არანაირი შეზღუდვა არ არის, თუმცა ზოგადად რეგიონებში მუშაობა პრიორიტეტულია.